წელიწადი მესამე | ფასი 7 კაპ. | პარასკევი, 10 მარტი, 1917 წ.

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 50 კ., უკანასკნელზე [illegible] გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოეული ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 8 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი. დამატებიანი № ღირს უცვლელად 10 კაპ.

№ 55 | ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი | № 55

# ქართველო ქალებო შეიკრიბენით!

## თბილისის ქალთა საზოგადოების გამგეობა

ამით აუწყებს ქართველ ქალებს, რომ შაბათს, 11 მარტს, დღის 12 საათზედ „ძმურ ნუგეშ"-ში (გოლოვინის პროსპექტი № 16)

## დანიშნულია საგანგებო კრება

# რუსეთის რევოლუცია

## ქართველებო, შეგნებულად, შეერთებულად, დინჯად!

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს მტკიცედ შეჰკრან კავშირი პროვინციაში—როგორც ქალაქებში, ისე სოფლად.

პარტიის მთავარი კომიტეტი.

## მამულიშვილნო!

დღევანდელი მომენტი განსაკუთრებულს ხარჯებს ითხოვს. შემოიტანეთ თქვენი წვლილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის. შემოწირულება მიიღება „საქართველოს" რედაქციის კანტორაში.

## მოწოდება

ქართველო ხალხო, განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა ესწრაფეთ დაიმუშავოთ ყოველივე ნაჭერი თავისუფალი ადგილისა, დაეხმარეთ ერთმანეთს, დასთესეთ საჩქაროთ უფხო პური, სიმინდი, ქერი, ფეტვი, კართოფილი და ბოსტნეული, რომ ერმა თავი დააღწიოს უსაშინელეს კარზე მომდგარ სიმშილს. თუ ჩვენი მოსავალი არ მოგვივიდა, უბედურება ელის ერს. არ დაზოგოთ ფული და შრომა, რომ უზრუნველ ჰყოთ თქვენ თქვენი თავი და თქვენი ოჯახი. სხვისი იმედი ნუღარ გაქვთ.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი მოუწოდებს პარტიის წევრებს და თანამოაზრეთ დაესწრონ კრებას, რომელიც გაიმართება ქართული კლუბის დარბაზში, პარასკევს 10 მარტს, საღამოს 8 საათზე.

## შემოწირულება

„საქართველოს" ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის საორგანიზაციო კომიტეტს შემოსწირეს:

ქ—მ 5 მან., ნ.—მ 2000 მ., ა. კ. გ.—5 მან., სპ. ბ.—10 მან., ლ. ჩ. 10 მ., მ. ჭ. (კვიტანცია № 51) 40 მ., ხ. მ. (კვიტ. № 52) 100 მ., სპ. გ. (კვიტ. № 53)—10 მ.

## წესიერება და მუშაობა

ჩვენი სოფელი ღარიბია შეგნებულ ძალებით. ეს ნაკლი განსაკუთრებით დღევანდელს პირობებშია მეტად სავალალო. იგი, შეიძლება, მრავლის ხიფათის წარმომშობიც შეიქნეს. მიმდინარე დიდი ამბები, ვინ იცის, რანაირად შეფარდება გაუნათლებელ ხალხში და ვინ იცის როგორ გამოიყენებს ამ გარდამავალ მომენტის პირველ დღეებს. ძველი მთავრობის გადაყენება და ძველი წესების მოხსნა ბევრს თავისუფალ და თვითნება მოქმედების საშუალებას მისცემს, რამაც შესაძლებელია დიდი უწესოება და აურ-ზაური შეიტანოს სოფლის ცხოვრებაში. ვიდრე ახალი მთავრობა თავ-თავის კაცებს ჩააყენებდეს ძველების ადგილას და ქვეყანა ახალ რეჟიმის კალაპოტში ჩადგებოდეს, შეიძლება სამწუხარო ექსცესები დატრიალდეს, გაუგებრობით თუ ბოროტის განზრახვით. ხმები მოდის, აქა-იქ ტაციობა და კერძო საკუთრების მითვისება ხდებაო. საჭიროა სოფლის ხალხის შეგნებულმა ნაწილმა ალაგმოს ამ უწესოების ჩამდენი. ძარცვა-გლეჯის და ტაციობის დრო არ არის. ყველა პარტია კატეგორიულად ჰგმობს ამგვარ მოვლენებს და თვის კაცებს ავალებს ამის წინაალმდეგ მკაცრად გაილაშქრონ. ახალი მთავრობა, რომელიც ხალხის განთავისუფლებას სჭედავს ამის წინააღმდეგია და მოუწოდებს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ხალხის განთავისუფლების დიადი საქმე, დაარიგოს ხალხი, რომ ასეთი უწესოება არავინ ჩაიდინოს. ვისაც ახალი მთავრობის ხელის შეშლა და დაბრკოლება არ სურს, ხელი უნდა აიღოს დარბევასა, გატაცებასა და მითვისებაზე. წესიერების დაცვა ყოველგან, სოფლად და ქალაქად—აი ერთი დიდი დახმარება დღევანდელი ახალი მთავრობისთვის.

ქვეყნის გამოკვება სულ ერთიანად სოფელზეა დამოკიდებული. გასული წლის პირიდან ბევრი არაფერი დარჩა, შიმშილი მოახლოვებულია. თუ სოფლის ხალხმა მუყაითობა არ გამოიჩინა და ყანები რაც შეიძლება მეტი არ დაიმუშავა, მდგომარეობა აუტანელი გახდება და ქვეყანა შიმშილის მსხვერპლი შეიქმნება. წესიერება და მუშაობა, აი რას უნდა დაადგეს სოფელი, რომ ახალი მთავრობის გამაგრებას ხელი შეუწყოს.

## განთიადის სხივებში

დღეს უდიდესი დღესასწაულია მთელს განახლებულს რუსეთში: მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს დადგენილებით ათი მარტი „პირველ გაზაფხულის" დღესასწაულად იქმნა აღიარებული, როგორც ძველი მთავრობის დასამარების დღე და როგორც ახალი ხანის დასაწყისი, თავისუფლებისათვის დახოცილთა სამარადისო მოსაგონებლად.

ასეთს განთიადს ქართველი ერიც, თქმა არ უნდა, ზეიმს გადუხდის. სალამი ჩვენი ერისა გაცილებით შინაარსიანი იქნება, ვიდრე სხვა რომელიმე რუსეთის შენადგენელი ნაწილისა, შეგნებული მით უფრო, რომ სალამს თან უძღვის ქართველის გადაშლილი გული, სადაც ასთექვსმეტი წლის სურვილები ჩაკლული და დასამარებული იყო ძველი მთავრობის გადაგრეხილ ხიშტის წვერით.

ქართველი ერი მთელს ასთექვსმეტ წლის სიცოცხლეზე მოთმინებით იყო აღჭურვილი. ელოდა ჟამს, როდესაც ძველი მთავრობის აღსასრულის დღე დადგებოდა, რათა ახლისთვის, პროგრესიული რუსეთისთვის შეესმინებინა თავისი გასაჭირი. ვიდრე ეს სანატრელი ზარი დაჰკრავდა, იგი პატიოსნურად ასრულებდა მოვალეობას. შამილის სახელოვანი ომები, ყირიმისა, იაპონიასთან ბრძოლა, მასთან ერთად სამოქალაქო ომი პეტროგრადისა და მოსკოვის ქუჩებზე 1905-7 წელს, გადმოტანილი თბილისისა თუ ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებისა და დაბა-სოფლის ველებზე, თამამად ჰმოწმობდა იმას, თუ როგორი რწმენა დაემყარებინა ქართველ ერს რუსეთისადმი, რომლისაგანაც მოელოდა სამართალს, აყრილ პატივის დაბრუნებას.

მაგრამ ის, რაც იყო 1914 წლამდე, ყველა ეს აჩრდილია ახლანდელ ომში განწირულ ქართველ მებრძოლთა გმირობასთან შედარებით. არასოდეს ქართველი ერი ასე არ დაზარალებულა, როგორც ამ საბედისწერო ომში, რომლის მიზანი ხშირად არც კი ესმოდათ ჩვენს რაინდებს, რის გამოც კარპატის უღელტეხილებიდან დღესაც ლანდად ათრთოლებულნი მშობელ ქვეყნისკენ გამოიყურებიან, მათ ვერ ესმით ჩვენი არაგვის ყივილი, არ ესმით მისი საგმირო ჰოპური, ძველად რომ ჩვენს რაინდებს სამშობლო ქვეყნის დასაცველად მოუწოდებდა. რისთვის და ვისთვის? კითხულობენ უცხოთა შორის ეს აჩრდილნი და პასუხად მხოლოდ ყრუ გამოძახილი ესმით იმავე სისხლით შეღებილს კარპატების: „ვისთვის და რისთვის?!!"..

ჯერ კიდევ 1914 წ., როდესაც პირველად ჩამოიკრა გერმანელთა საბედისწერო ომის ზარი, რუსეთის ასე ვსთქვათ, „პარლამენტში" თუ „ვარსკვლავთ პალატაში" ხანგრძლივი თათბირი და ბჭობა შეიქმნა რეფორმების აუცილებლობის შესახებ, შინაურ წესწყობილების შეცვლას თან მიაყოლეს ზოგიერთა განაპირა ქვეყნების უფლებათა აღდგენა. თუმც გვიან, მაგრამ მაინც ვარშავის დაცემის შემდეგ თითქმის „რეალიზაცია" უყვეს პოლონეთის აღორძინებას, მის „დამოუკიდებლობას", რაიც „თვითგამორკვევისა, თვითმართველობისა, ენისა და რწმენის თავისუფლებაში" უნდა გამოხატულიყო. ჟურნალ-გაზეთობა, განსაკუთრებით „რეჩი", ეხებოდა ფინლიანდიის საკითხს, „ბირჟ. ვედ." „ვეჩ. ვრემ." და მრავალი სხვა გაზეთი გამოექომაგნენ ოსმალეთის სომხეთს, საჭიროდ სცნობდნენ მის ავტონომიას. მაგრამ.. ქართველებზე, როგორც ასეთზე, არსად არასოდეს კრინტიც არ დაუძრავთ, თითქოს მისი არსებობა არც შეერთების ტრაქტატით უწყობდნენ, არც კავკასიის რუქაზე ენახოთ სადმე აღნიშნული, არც მის მებრძოლთ ჰხედავდნენ „ლვებად" და მთის „[illegible]", რასაც არა ერთხელ აღმოიკითხავდით მთავარსარდალთა სამადლობელ დეპეშებში.

ვფიქრობდით, დღეს მაინც, როდესაც ომის ველი საზღვრებიდან პეტროგრადისა და მოსკოვის ქუჩებში გადმოვიდა, როდესაც მოძრაობის პროპორცია ასე თუ ისე დაუახლოვდა ნამდვილს ნორმას, როდესაც საჭირბოროტო საკითხები თხრილებიდან ფორუმს ეწვივნენ და ერთის დარტყმით დემოკრატიულმა რუსეთმა დემოკრატიულს საუკუნეს უმტკიცესი საძირკველი ჩაუყარა, ვფიქრობდით მეთქი, ვიმეორებ, ეხლა მაინც გაგვიხსენებდნენ და ქართველს აშკარად გაგვაგონებდნენ სამართლის ხმას, რომ მართლა ჩვენი ქვეყანა „არა ანგარებისთვის... არა საზღვრების გაფართოვებისთვის... არა სიმდიდრის მოსახვეჭად" შეიერთეს, როგორც ეს მყვირალა ფრაზებით დაგვიწერეს „დიდების ტაძრის" ბჭეთა რკინის დაფაზე, არამედ საძმოდ, ერთმანეთის დასახმარებლად, როგორც ეს იყო აღნიშნული ჩვენსა და მათს შუა დადებულს ხელშეკრულებაში. საუკუნოებში ასეთი დიადი მომენტი იშვიათია. და აი, მრავალ ჩირაღდანთა შორის ჯერ კიდევ არ ვხედავთ საქართველოს საკითხს თუნდა ჰრაქად ანთებულს.

დღეს რუსეთი განთიადის ახალს სხივებში მოსცურავს, დღესასწაულობს გამარჯვებას. როგორც გამარჯვებული და სამართლიანობისთვის მახვილ აღმოწვდილი ახალგაზრდა, რუსეთი მოვალეა გაიხსენოს რაოდენი უსამართლობა მოგვაგო ძველმა მთავრობამ, როგორ „ქაღალდის ნაგლეჯად" აქცია ჩვენი ხელშეკრულობის პირობები, როგორ გაგვიქელა სამართალი, გაგვიძარცვა ეკლესია, მოგვისპო თვით-არსებობის ელემენტარი უფლებაც კი და ნებით შეერთებული ჩვენი ქვეყანა როგორ უბრალო პროვინციად გამოაცხადა გენერალ კრონინგთა პირით, რომელთაც არავითარი კრძალვა არ ჰქონდათ არც ჩვენი მეფეებისა და არც ჰალარა მოსილი ჩვენი ერისა. ძველმა რუსეთმა ჩვენი ქვეყანა მიიყვანა იტალეთის იმ სასოწარკვეთილამდის, როდესაც თვით ღვთაებრივი დანტე იძულებული გახდა ბრძოლის საყვირი აელო ხელში და დაეძახნა: „შორს იტალეთიდან ბარბაროსები!" საბედნიეროდ რუსეთის ბარბაროსობა ძველს მთავრობას ჩაჰბარდა საუკუნეთა ბნელს წიაღში. დღეს ბარბაროსებად არვის ვთვლით იმ დრომდე, ვიდრე კიდევ სასოება არ წაგვხოცია და ვფიქრობთ, ახალგაზრდა რუსეთი ჩვენც ადგილს დაგვითმობს თვის საზეიმო დღესასწაულში...

დ. კასრაძე.

P. S. ეს წერილი უკვე აწყობილი იყო, როდესაც ტელეგრამით გვაუწყა, რომ ათი მარტის დღესასწაული შემდეგისათვის გადიდოო. დ. კ.

## [illegible]

რუსეთში დიდი ცვლილება მოხდა. სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სათავეში ხალხის წარმომადგენლობა ჩაუდგა. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს რომ, თუ გინდ მათ შეინარჩუნონ კიდეც მოპოვებული უფლება, კანონიერი სურვილი რუსეთში მომწყვდეულ ერებისა დაკმაყოფილებული იქმნება. დროებით კომიტეტში ისეთი პირები მოხვდნენ ერთად, რომელთა აზრების თანხმობა ხანგრძლივათ წარმოუდგენელია. რუსეთის რევოლუცია რუსეთში ერთა თავისუფლებად კი არ ესმით, არამედ რუსეთის იმპერიის გაძლიერების საშუალებად. ამით აიხსნება ერთსულოვნობა ყველა წრეებთა შორის. ჩვენ კი მისგან თავისუფლებას მოვითხოვთ. ყოველმა ერმა თავისი ბედი თვითვე უნდა გადასწყვიტოს. უნდა ყოველ ერს მიეცეს უფლება თავის სამშობლოს მართვა-გამგეობის სახე თვითვე ამოირჩიოს, თავისი ერის შვილები იყოლიოს საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ დაწესებულებებში ან სხვა თანამდებობაზედ. დაუპატიჟებელნი მზრუნველნი თავიანთ სახლ-კარს უნდა დაუბრუნდნენ. ჩვენ საკმაოდ მოგვეპოვება ჩვენს ხალხში ისეთნი, რომელნიც უკეთესად გაუძღვებიან ყოველივე იმ საქმეს, რომელსაც დღეს უცხონი აწარმოვებენ. ჩვენები უსაქმობის გამო თავიანთ სამშობლოში ხშირად თითქმის მაწანწალებად დაძრწიან. ბევრნი იძულებულნი არიან უცხოეთში გადიკარგნენ და იქ ეძიონ საცხოვრებელი წყარო.

ბევრი ჩვენგანი მოკლებულია არამც თუ სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, არამედ უბრალო ოჯახურ ცხოვრებასაც კი. ჩვენი ხალხი კი არც ნიჭით და არც შეგნებით არც ერთს რუსეთში მოსახლე ხალხს არ ჩამოუვარდება; პირიქით, მრავალს მათგანს აღემატება კიდეც: ერთი და ორი მაგალითი არ არის, როდესაც სხვებს ჩვენებით უსახელნიათ თავი და უამაყიათ. მათ უნდა მიეცეთ ასპარეზი მთელ ჩვენი ერის საბედნიეროდ: ეროვნულ გასაძლიერებლად და კულტურულად ასამაღლებლად. ისინი უკეთესად გაიგებენ ხალხის ყოველივე წყლულს და უკეთესადაც უსალბუნებენ მას. ამიტომ უნდა მოვითხოვოთ, რომ ყოველივე ერს მიეცეს უფლება თვითვე გადასწყვიტოს თავისი ბედი. კერძოდ ჩვენ ქართველებმა თვითვე უნდა გადავწყვიტოთ საქართველოს მომავალი.

მ. შალამბერიძე.

# რევოლიუციის დღიური

დროებითი მთავრობა მთელის რუსეთისა უმთავრესად რეაქციონურ ბანაკის სამუდამოდ აღმოფხვრას ლამობს. პეტროგრადიდან მოყოლებული თბილისამდე ყველა მოხელეებს ასე თუ ისე ძველის რეჟიმისადმი თავის ერთგულობით ცნობილთ, ციხეებისაკენ ერეკება და მათს ადგილზე საზოგადო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა ჰნიშნავს. ტაქტიკურის მოსაზრებით ასეთი ზომები აუცილებელია, რადგან სწორედ ეს ის წრეა, რომელზედაც ძველის მთავრობის პოლიტიკა რამდენისამე საუკუნის განმავლობაში ემყარებოდა. პოლიცია და ჟანდარმერია ერთის მხრით, უმაღლესი მოხელენი მეორე მხრივ მუდამ ჟამს განსაკუთრებულ ყურადღების ღირსნი არიან რევოლუციონერების მხრით; თავიანთ პრივილეგიას, უზრუნველ მდგომარეობას არც ისე მალე შეელევიან და ყოველთვის მზად იქნებიან კონტრ-იერიშები დაიწყონ ახალ მთავრობის წინაამდეგ, რა წამს მომენტი ასე თუ ისე ხელს შეუწყობთ. მაგრამ ამასთანავე, შურისძიების ტრფობას არც ახალი მთავრობა უნდა გაჰყვეს. როგესპიერისა და მორატის დღენი არასოდეს არ გამოიწვევს თანაგრძნობას, თუგინდ უზენაეს თავისუფლების განმტკიცებას საჭიროებისაგან იყოს გამოწვეული. სასტიკი დასჯა, სისხლი, ციხე და საპყრობილე ნაკლებად უნდა იხმობდეს დროებით მთავრობის ყურადღებას. შიში კონტრ-რევოლიუციისა მხოლოდ მაშინ ღრმავდება, მაშინ ხდება ცხადზე უცხადესად, როდესაც მდგომარეობა მცხოვრებთა ერთ-ერთ ნაწილისა ახალ წესწყობილებაში აუტანელი ხდება. რევოლიუცია და კონტრ-რევოლიუცია გამწვავებულ მდგომარეობის შედეგია. როგორც ერთი, ისე მეორე ლამობს მონური უღელი კისრიდან გადაიგდოს. კონტრ რევოლიუცია საშიში არაა, თუ იგი მხოლოდ უბრალო პრივილეგიის სურვილებითაა გამოწვეული, თუ მას ახალი ობიექტიური საფუძველი არ უდევს. ახალ მთავრობის და რეჟიმის განმტკიცება საზოგადოებრივ ძალთა გაძლიერებით უნდა მოხდეს. რეაქციონერთა ბანაკი ძლიერი იყო ხელოვნურად შემქნილ კასტების მეოხებით. ყოველივე კასტა მეფის ტახტიდან მო-[illegible]ღეული, ვიდრე უბრალო გოროდოვამდი, საგანგებო პრივილეგიით იყო აღჭურვილი. სასახლეს კამარილიის და გოროდოვოის პსიხოლოგია ერთის სტიმულით ვითარდებოდა. როგორც პირველს, ისე მეორეს კარგათ ესმოდა, რომ რეაქცია მისი მდგომარეობის საძირკველია. რევოლიუცია და ახალი მთავრობა სწორეთ იმ საზოგადოებრივ ძალთა აღჭურვას და განმტკიცებას უნდა შეუდგეს, რომელიც მუდამ ჟამს ძველი რეჟიმიდან იყო დევნილი და დამონებული. მომქმედი საზოგადოება, ფართო მასსა—აი ის დედა ბოძი, რომელზედაც უნდა დაემყაროს ახალი რევოლიუციონური მთავრობა.

შემდეგ მორიგ საკითხად დროებით აღმასრულებელი კომიტეტი ამნისტიას აღიარებს. პოლიტიკურ დაპყრობილთა განთავისუფლება, გამარჯვებულ რევოლუციის პირველი სამოქმედო ეტაპია, სინდისის და სიმართლის განმტკიცება ამნისტიით იწყება და დროებითი მთავრობაც თავის უაღრეს მოვალეობად სთვლიან უპირველესად ეს ნაბიჯი გადასდგას. გარდა ამისა ამნისტია აუარებელ რევოლუციონურ ძალას იძლევა, რომელიც ახალ რეჟიმის განმტკიცებას დიდათ დაეხმარება.

**ჯუანშერ.**

# დეპეშები

## სენატის გარშემო

**პეტროგრადი.** 5 მარტს შესდგა 1-ლი დეპარტამენტის უმართებულესი სენატის სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა ორი აქტი. იმპერატორ ნიკოლოზ მე-II-ის ტახტიდან ჩამოსვლის და დიდი მთავრის მიხეილ ალექსანდრეს ძის სამეფო ტახტის ასვლაზე უარის თქმის შესახებ, სანამ არ შეიკრიბება სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება, რომელიც შეიმუშავებს ძირითად კანონებს რუსეთის მართვა-გამგეობის შესახებ. ეს ორი აქტი წარადგინა სენატში იუსტიციის მინისტრმა ა. თ. კერენსკიმ, გარდასცა 1-ლი დეპარტამენტის ობერ-პროკურორს, მისცა სენატს წინადადება, განეხილა საკითხი ამ აქტების საყოველთაო გამოსაქვეყნებლად და შემდეგ დასტოვა დარბაზი. სენატის სხდომამ განიხილა რა წინადადება, დაადგინა: „გამოაქვეყნოს ორივე აქტი მთავრობის კანონების და განკარგულების უწყებაში“ და ამის შესახებ აცნობოს სენატის ხელქვეითა მოსამსახურეთ და უფროსებს და დაწესებულებებს. ამის შემდეგ დარბაზში შებრძანდა იუსტიციის მინისტრი და სენატის 1-ლი დეპარტამენტის თავმჯდომარემ სენატორმა ს. ბ. ვრასკიმ, აუწყა მინისტრს სენატის დადგენილება და ამასთანავე სენატორთა ერთსულოვანი დადგენილებით ა. ფ. კერენსკის მიჰმართა შემდეგის სიტყვით: „პირველი სენატის დეპარტამენტი უგულითადეს მადლობას და თანაგრძნობას უცხადებს ახალ დროებითი მთავრობას, რომელმაც საოცარის გამჭრიახობით დაამყარა რუსეთში და განსაკუთრებით პეტროგრადში მშვიდობიანობა და მიანიჭა რუსეთის ერს თავისუფლება. სენატი აცხადებს, რომ იგი ერთგული მორჩილი იქნება ახალი დროებითი მართველობისა და ყოველსავე მის დადგენილებას და განკარგულებას დაემორჩილება“. იუსტიციის მინისტრმა ა. თ. კერენსკიმ უპასუხა: „ჩემ თავს მოვალედა ვრაცხ, ყოველივე რაც თქვენგან მოვისმინე, ვაუწყო დროებითი მთავრობას. ბედნიერი ვარ, რომ მე მხვდა წილად, გადაცემა ამ აქტებისა იმ დაწესებულებებში, რომელიც შეჰქმნა პეტრე დიდის გენიამ, კანონის და უფლების დასაცავად, აქტებისა, რომელსაც აქვს უპირველესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, რომელთა გამოქვეყნება ჰნიშნავს სახელმწიფოს ძველ წეს-წყობილების გაუქმებას“. ორივე აქტი სენატის მიერ მიღებულია შესანახად საუკუნით-უკუნისამდე.

იმავე დღეს იუსტიციის მინისტრმა სენატის დადგენილება აუწყა დროებითი მთავრობას.

## სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კავშ. განახლება

**მოსკოვი.** 6 მარ. სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კავშირმა, 1905 წელს დაარსებული და ძველი მთავრობის მიერ გაუქმებული, მოქმედება განაახლა.

## რადკო დიმიტრიევი

**რიგა**, 6 მარტი. არმიის უფროსმა რადკო დიმიტრიევმა ჯარს მოწოდებით მიჰმართა. გენერალი აღიარებს ახალს წესწყობილებას და ურჩევს ჯარისკაცებს თავის უფროსებს დაემორჩილონ.

## ბრიანის სალამი

**პარიზი**, 6 მარტი. მინისტრ-პრეზიდენტმა ბრიანმა მილიუკოვს ბედნიერება უსურვა, ხოლო რუს[illegible] დიდება. ამასთან ერთად რწმენა გამოჰხატა, რომ მოკავშირე სახელმწიფოების შემაკავშირებელი ჯაჭვები თანდათან განმტკიცდება.

## რომანოვთა საგვარეულოში

ძველი მთავრობის ძლევამოსილება ჯერ ისევ მაგრად იყო ფეხმოდგმული, როდესაც ხმა გავრცელდა რომანოვთა გვარეულობაში შუღლი და არევ-დარევააო. ხმა დავარდა, დიდ მთავრის ხელმოწერილი წერილი გაეგზავნა მეფესაო. ეხლა შესაძლებელი გახდა ამ ამბებს ფარდა აეხადოს.

### დიდ-მთავართა თათბირი

დიდ მთავრებს თათბირი ჰქონიათ შარშან შემოდგომაზე, როდესაც მეფემ და მისმა მთავრობამ უარი განაცხადეს სათათბიროს მოწვევაზე, რამაც საზოგადოებრივი აზრი ააღელვა. დიდ მთავართა თათბირს დასწრებიან: კირილე ვლადიმერის ძე, ნიკოლოზ მიხეილის ძე, მიხეილ ალექსანდრეს ძე, ძენი განსვენებულ კონსტანტინე კონსტან. ძისა. თათბირზე გამოირკვა, რომ ალექსანდრე მიხეილის ძეს და მიხეილ ალექსანდრეს ძეს პირისპირ უთათბირიათ მეფესთან შექმნილ მდგომარეობის თაობაზე. დიდის სიფრთხილით, მაგრამ მაინც შეჰხებიან მეფის საგვარეულოს ბედს და გაუმჟღავნებიათ, რომ იგი საფრთხეშია. ამისათვის საჭიროა ხალხის მისწრაფებას მივცგებოთ და საჩქაროდ მოიწვიოთ სახელმწიფო სათათბიროვო.

სხვა დიდ მთავრებს მეფესთან პირდაპირ არ უსაუბრიათ, მაგრამ მასთან დაახლოვებულ სასახლის აფიცრების პირით გაუფრთხილებიათ ამ საგნის თაობაზე.

### დედოფლის სიძულვილი.

მეფის საგვარეულოს წინადაც დიდათ არ ეპიტნავებოდა დედოფალი. როდესაც რასპუტინი მოევლინა სასახლეს, მას მერე ხომ უფრო გაიზარდა დედოფლისადმი სიძულვილი. რასპუტინს დიდი გავლენა ჰქონდა საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაზე, იგი უზრდელად ექცეოდა სასახლის სეფექალებს, მეფის ასულებს, თუ კერძო ოჯახში სხვა ქალებს. მალ-მალ უჩვენებდა ყველას თავის პერანგს, რომელიც დედოფლის ხელით ყოფილიყო ნაქარგი და თან იკვეხდა თურმე: ეს „თვით საშკას“ ხელით არის ამოქარგულიო. „საშკას“ დედოფალს უწოდებდა. ასეთი ქცევა დიდად სწყენდათ დიდ მთავრებს და სასახლის წრეს იმდენად ჩამოშორდნენ, რამდენადაც კი ეს სასახლის წესების მიხედვით მოსახერხებელი იყო.

### რასპუტინის მოკვლა.

რასპუტინის მოკვლამ ხომ მთელი უფსკრული გასჭრა მეფისა და დიდ მთავრებს შორის. დედოფალმა პირდაპირ განაცხადა, რასპუტინის მკვლელობაში დიმიტრი პავლეს ძის გარდა მეფის საგვარეულოს სხვა წევრთაც წილი უძევთო. სასახლეში აშკარად ასახელებდნენ ალექსანდრე მიხეილის ძის და ქსენია ალექსანდრეს ასულის ახალგაზრდა ვაჟებს და აგრეთვე კონსტანტინეს შვილებს, ე. ი. მეფის ბიძაშვილებს. მიხეილ ალექსანდრეს ძის შვილებს მხოლოდ იმ საბუთით ადებდნენ ხელს, რომ მის ახალგაზრდა ვაჟს ალექსანდრე მიხეილის ძეს თ-დი იუსუფოვის ასული ჰყავდა მეუღლედ.

ყველა დიდი მთავრები და მათ შორის დიმიტრი პავლეს ძეც ხელს იბანდნენ რასპუტინის მკვლელობაზე და გამოძიების დროს გადაჭრით აცხადებდნენ, ამ მკვლელობისა არაფერი ვიცოდითო. დიმიტრი პავლეს ძე შინაურებშიაც კი ამას იმეორებდა: მართალია რასპუტინის მკვლელობის ღამეს თ-დ იუსუპოვის სასახლეში ვიმყოფებოდი, მაგრამ მკვლელობისა არა ვიცოდი რაო.

### დიმიტრი პავლეს ძის დასჯა

ნიკოლოზ რომანოვმა (ნამეფარმა) სასტიკად დასაჯა დიმიტრი პავლეს ძე. ჯერ სახლშივე დაამწყვდია, მერე დაატუსაღა, ფლიგელ-ადიუტანტ გრ. კუტაისოვის თანხლებით სპარსეთის ასპარეზისაკენ უკრა თავი და სასტიკად აუკრძალა ნათესავ მახლობლებთან მიწერ-მოწერა თუ დეპეშით გამოლაპარაკება. გრ. კუტაისოვს ნაბრძანები ჰქონდა, ერთის წუთითაც არ მოჰშორებოდა მას და ყოველისფერი სასტიკად აესრულებინა.

ასეთმა სისასტიკემ რომანოვთა მთელი საგვარეულო დიდს საგონებელს მისცა, მით უმეტეს რომ დიდ მთავართა შორის სასახლეში უფრო მიღებული და დაახლოვებული იყო დიმიტრი პავლეს ძე. ყველამ იცოდა. რომ იმ დღეებში დიმიტრი პავლეს ძეზე ნიკოლოზ რომანოვის ასული გათხოვებას ოცნებობდა, მაგრამ რასპუტინის მოკვლის შემდეგ მან ჯვარის წერაზე უარი გან[illegible]ცხადა. ამ ამბავმა საშინლად გული ატკინა ნიკოლოზ რომანოვს, მაგრამ დიმიტრი პავლეს ძეს მაინც კვლავ ღებულობდნენ სასახლეშიო.

დიმიტრი პავლეს ძის ასეთმა დასჯამ სასახლეში ის აზრი დაამყარა, რომ ნიკოლოზ რომანოვი ყურმოჭრილ ყმად გაუხდა რასპუტინის დაკარგვით გადარეულ დედოფალს. რომანოვთა საგვარეულოში ალექსანდრე თევდორეს ასულის სიძულვილი ბრძოლის ლოზუნგად იქცა. ერთი დიდი მთავრის სასახლეში რომანოვთა საგვარეულოს წევრთა თათბირი მოხდა და მეფეს შემდეგი წერილი გაუგზავნეს:

### წერილი მეფესთან

„თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენ ყველანი, ვინც ამ წერილს ხელს აწერს, მხურვალეთ და ბეჯითად გთხოვთ დიმიტრი პავლეს ძეს სასჯელი შეუმსუბუქოთ. ჩვენ ვიცით, რომ იგი ჯანით სნეულია და ზნეობრივად მეტისმეტად ტანჯული. თქვენ მის აპეკუნად და უმაღლეს მზრუნველად ნამყოფმა მოგეხსენებათ რა უღრმესის სიყვარულით იყო მისი გული განმსჭვალული თქვენდამი და თქვენი სამშობლოს მიმართ. გემუდარებით თქვენო უდიდებულესობავ მასთან „უსოკში“ (დიდი მთავრის მამული) ან „ი[?]ლინსკ“-ში ნება დართოთ ცხოვრებისა. თქვენს უდიდებულესობას, ალბად, მოეხსენება, თუ რა მძიმე პირობებში იმყოფება სპარსეთში ჩვენი ჯარი, უბინაურობისა, გადამდებ სნეულებათა და სხვათა გამო. მისი იქ ყოფნა მის ღალუპვას უდრის და თქვენი უდიდებულესობის გული ამ ჭაბუკის სიბრალულით განიმსჭვალება, რომელიც გიყვარდათ, რომელსაც ბედნიერება ჰქონდა სიყრმითვე თქვენს გვერდით ყოფილიყო, რომლისათვისაც თქვენ მუდამ კეთილ მამად იყავით.

დეე მაღალმა ღმერთმა შთააგონოს თქვენს უდიდებულესობას თქვენი გადაწყვეტილების შეცვლა და თქვენი მოისხენება შეწყალებით შეგაცვლევინოთ.

თქვენი უდიდებულესობის გულითადი მოსიყვარულე და ერთგულნი: ელლინითა დედოფალი ოლღა კონსტანტინეს ასული, მარიამ პავლეს ასული (უფროსის) კირილე ვლადიმირის ძე, მისი მეუღლე ვიქტორია თევდორეს ასული, ბორისი და ანდრია ვლადიმირის ძენი, პავლე ალექსანდრეს ძე (დიმიტრი პავლეს ძის მამა) მარია პავლეს ასული (უმცროსი) ელისაბედ მარიკის ასული (კონსტანტინე კონსტანტინეს ძის ქვრივი), იოანე კონსტანტინეს ძე, მისი მეუღლე ელენე, გაბრიელ კონსტანტინეს ძე და გიორგი კონსტანტინეს ძე, ნიკოლოზ მიხეილის ძე და სერგეი მიხეილის ძე“.

ამ წერილის პასუხმა დაიგვიანა. წერილის გამგზავნელთ ეს კარგ ნიშნად მიიჩნიეს. მაგრამ სასახლეში ხმა გავრცელდა, ალექსანდრა თევდორეს ასული მოითხოვს, დიმიტრი პავლეს ძე და თ-დი იუსუპოვი სამხედრო-საველე სამართალში მისცენო.

### მეფის პასუხი.

რამდენიმე დღის შემდეგ დიდმა მთავარმა პავლე ალექსანდრეს ძემ უკანვე მიიღო გაგზავნილი ეპისტოლე ასეთის წარწერით:

„მკვლელობის უფლება არავისა აქვს. ვიცი, ბევრს სინიდისი ნებას არ აძლევს, რადგანაც მხოლოდ დიმიტრი პავლეს ძე არ ურევია ამ საქმეში.

მაკვირვებს თქვენი მომართვა ჩემდამი. ნიკოლოზ“.

## მანიფესტი ფინლიანდიას

დროებითი მთავრობის მანიფესტი ფინლიანდიის დიდი სამთავროს კონსტიტუციის დამტკიცებისა და მის სავსებით და სრულიად განაღდების თაობაზე.

მოსილნი სრულის ხელმწიფებით, ამით ვამოწმებთ და ვამტკიცებთ ძირითად კანონებს, უფლებასა და უპირატესობათ, ფინლიანდიის დიდ სამთავროს მოქალაქენი, დიდიდან პატარამდე რომ სარგებლობდენ თავიანთ ქვეყნის კონსტიტუციის მიხედვით. პირობასა ვდებთ, რომ ამიერიდან აღვთქვამთ დავიცვათ იგი კონსტიტუცია უკლებლივ. ამით ვაუქმებთ ძირითად დებულებებს, 1899 წ. თებერვლის 3/15 უმაღლესის მანიფესტით გამოცხადებულს, სახელდობრ: უმაღლესად დამტკიცებულ ჟურნალს 1910 წ. 17/30 თიბათვისას ფინლანდიის საქმეთა მოხსენების წესრიგის შესახებ, რომელიც გამოიცა ფინლიანდიის სეიმის დაუკითხავად; კანონი 1910 წ. 17/30 თიბათვისას, ფინლანდიის კანონებისა და სხვ. 20 მაისის დადგენილებანი 1905 წ. სავალე ჯართა მოსაწყობად, ციხეების განგება, ადგილობრივი მართვა-გამგეობის საკითხი სრულიად გაუქმებული უნდა იქნეს ომის დამთავრებისთანავე. აგრეთვე უქმდება [illegible] 1890 წ. მანიფესტი ფინლანდიის სამთავროს პოსტის გამგებლობის შესახებ, რკინის გზების მოწყობის შესახებ და სხვ. ვუბრძანებთ ფინლანდიის სენატს თუ რამ ცვლილება უნდათ შეიტანონ თავიანთ მართვა-გამგეობაში, შესაფერი წინადადებით მოგვმართონ. იმ პირთ, ვისაც რაიმე დანაშაული მიუძღვიათ პოლიტიკურს და რელიგიურს ნიადაგზე, საზოგადოდ თავიანთი რწმენის გამოისად, ვუცხადებთ საზოგადო ამნისტიას, რათა დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქმნენ და მიენიჭოთ რუსეთის ქვეშევრდომთა თანაბარი უფლებანი. ფინლანდიის სეიმს, რომელიც ახლო მომავალში იქნება მოწვეული, გარდავცემთ პროექტს ფინლანდიის მართვა-გამგეობის შესაცვლელად, თუ კი რამ შესწორება ან დამატება საჭიროა, გვეცნობოს და შესრულებულ იქმნება. განსაკუთრებით განხილულ იქმნება კანონები შემოსავლის შესახებ, ასევე სეიმში შეტანილ იქმნება კანონ-პროექტი თუ რა უფლება ენიჭება სეიმს ფინლანდიის მთავრობის წევრთა კანტროლის გასაწევად, აგრეთვე განხილულ იქმნება კანონ-პროექტი ქვეყნის დამოუკიდებლობაზე, უმაღლეს სამსჯავროზე, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებაზე და კავშირების შესახებ. ჩვენ საქვეყნო ზეიმით ვუმტკიცებთ ფილიანდიის ხალხს, მისი კონსტიტუციის ძირითად მუხლების მიხედვით, ურყევლად დაცულ იქმნება მისი შინაგანი მართვა-გამგეობის უფლება, მისი ენისა და ეროვნულ კულტურის საკითხები. ღრმადა გვწამს, რომ რუსეთი და ფინლიანდია ამიერიდან ურთიერთისადმი ნდობით აღიჭურვებიან და პატივით მოეპყრობიან, როგორც ორი თავისუფალი ქვეყანა. პეტროგრადი, 20 მარტი, 1917 წელი. ხელს აწერენ მინისტრთა თავმჯდომარე თავ. ლვოვი და დანარჩენი მინისტრები. ნამდვილზე ხელს აწერენ: ფინლიანდიის სამთავროს სეკრეტარიატის კომისარის თანაშემწე დ. პროტოპოპოვი და დროებითის მთავრობის მინისტრთა საბჭოს საქმეთა გამგე ვლ. ნაბოკოვი.

## კერენსკის სიტყვა

**მოსკოვი**, 7 მარტი. იუსტიციის მინისტრმა კერენსკიმ პასუხად მილოცვაზედ ადვოკატურის, მაგისტრატურის და პროკურატურისა, ბრძანა: დაიბადა თავისუფალი რუსეთი და მასთან ერთად—დასაწყისი სამართლიანი კანონებისა და თავისუფალ სამართველოს სინდისის. ძველი წეს-წყობილება სამუდამოდ დამხობილია, უნდა შეუდგეთ ახალი ცხოვრების შექმნას. იმედი მაქვს, რომ მოსამართლენი, რომელნიც ემსახურებოდნენ ძველს რეჟიმს, შესძლებენ ემსახურონ სინდისიერად ს მართალს ან საკმაო გამბედაობას გამოიჩენენ და მოქალაქობრიობას, რომ წავიდნენ. მოსამსახურეთ დაჰპირდა მოქალაქობრივობას. ნაფიც ვექილებს უთხრა, რომ მაშინვე ინახულა პეტროგრადში ნაფიც ვექილთა საბჭო, სადაც აღინიშნა უპირველესი მნიშვნელობა ახალი წესწყობილებისა, რომელიც უნდა აღმოცენდეს უფლებასა და სამართალზედ, რაიც დაცული იყო მხოლოდ ნაფიც ვექილთა კორპორაციაში. აფიცრებისა და სალდათების საბჭოში კერენსკის ტაშის კვრით შეხვდნენ; კერენსკიმ აღტაცებით მიმართა: მე მოვედი ახალ მთავრობის სახელით, რომელიც შეიქმნა ხალხისა და სათათბიროს მეოხებით. ჩვენ მოვიპოვეთ თავისუფლება და თქვენ დაამტკიცეთ, რომ ღირსეულნი შვილნი ხართ დიდებულ სამშობლოსი. მომავლისა არ უნდა გეშინოდეთ. მე წევრი ვარ დროებითი მთავრობისა, თქვენი ამხანაგი დემოკრატი და სოციალისტიც. ამხანაგებო, თავმჯდომარე პეტროგრადის მუშათა და სალდათების საბჭოსი იტყვის, შემძლიან თუ არა ვაცნობო მთავრობას, რომ მოსკოვის ჯარს, ჯარისკაცებსა და აფიცრებს სჯერათ ჩვენი და გააკეთებენ ყველაფერს, რასაც ვეტყვით (გვჯერა! გვჯერა! ტაშის ცემა). შექმენით ახალი ხალხი, ახალი ჯარი. ყველაფერი, რაც დარჩა უკან, მომეცით მე და ახალ მთავრობას (სიტყვა კერენსკისა შესწყდა, რადგან გულს შემოეყარა. ერთ-ერთი ორატორი ხსნის, რომ მინისტრს მთელი კვირა არა სძინებია და ძალა გამოელია). დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის შესახებ შეკითხვაზედ, კერენსკიმ უპასუხა: ნუ გაქვთ შიში, ყველა ზომები იქნება მიღებულიო“. აუდიტორიაში გამოჩნდა გრუზინოვი, რომელსაც ოვაციით მეხვდნენ. კერენსკი ამბობს: ხვალ გადავცემ ახალ მთავრობას თქვენს სურვილს და გრუზინოვი დარჩება თქვენ უფროსად. საზოგადოებათა ორგანიზ[illegible] კერენსკიმ სთქვა, რომ ახალი მთავრობა ბოლომდის მიიყვანს საქმეს და დამფუძნებელ კრებას მოიწვევსო. მგონი, ახლო მომავალში მოსალოდნელი არ არის განგეთქილება მთავრობის წრეებში. რაც შემეხება მე, არასოდეს არ უღალატებ ჩემს მოვალეობასა და პრინციპებს. ჟურნალისტებს უთხრა, რომ ქვეყანას ამცნონ, რომ სათათბიროში მტკიცედაა გადაწყვეტილი მთავრობის გამაგრება და რომ მის ხელშია ფრიად საყურადღებო ცნობები პოლიციის დეპარტამენტისა.

ქალაქის თვითმართველობაში მიესალმა მოსკოვსა რუსეთის მთავრობის სახელით და სთხოვა დახსარება, ნამეტნავად მიხარია ეს აღვნიშნო მოსკოვის თვითმართველობის 50 წლის არსებობის გამო, სადაც შეიქმნა უდიდესი ოლგანიზაცია ქალაქებისა და ერობისა.

**მადრიდი.** 7 მარტი. გაზეთები აღნიშნავენ, რომ გერმანელები იხევენ იმიტომ კი არა, რომ ეს განზრახული ჰქონდათ, არამედ გამაგრდნენ დატოვებულ ხაზზე.

## დროებითი მთავრობის განკარგულება

**პეტროგრადი.** ოფიციალი ცნობა უმართებულეს სენატს. დროებითმა მთავრობამ დაადგინა: სისხლის სამართალში მყოფნი, სასამართლოს დადგენილებით დატუსაღებულნი, გამოქცეულნი თუ არა სათანადო მთავრობის მიერ განთავისუფლებულნი უნდა ნება-ყოფლობით გამოცხადდენ სასჯელის მოსახდელ ადგილებში ან საპოლიციო პუნქტებში 14 დღის განმავლობაში ამ ბრძანების გამოსვლის შემდეგ. მათ სასჯელის ვადა გაუნახევრდებათ. ამ შეღავათის სისრულეში მოყვანა ადგილობრივ ბრალმდებლებს ევალებათ.

ხელს აწერს: მინისტრთა თავმჯდომარე თ-დი ლვოვი და სამართლის მინისტრი კერენსკი.

## საფრანგეთი

**პარიზი.** საფრანგეთის სამინისტრო გამოიცვალა. ახალ სამინისტროში აირჩიეს: მინისტრ-პრეზიდენტად და საგარეო საქმეთა მინისტრად რიბო, სამართლისა—ვივიანი, სამხედრო—პენლევე, საზღვაო—ლაკაზი, სურსათისა—სტეგი, საზოგადო სამუშაოთა—დეპლი, სავაჭრო—კლემანტელი, მიწათმოქმედებისა—დავიდი, სანოვაგისა—ვიოლეტი, შრომისა—ბურჟუა, ახალშენებისა—მაჟინონი, ფრენის საქმის სტატსსეკრეტარის თანაშემწე—ვენსანი.

## მანათიანის მაზანდამ აიწია

**სტოკჰოლმი.** რუსულ მანათიანის ფასმა აიწია. ეხლა 97-ზე ავიდა.

## ვოიეიკოვის დატუსაღება

**მოსკოვი.** მოსკოვში მოიყვანეს ვიაზმაში დატუსაღებული სასახლის [illegible] ნამყოფი გენერალ-მაიორი ვოიეკოვი, რომელიც მეფეს ახლდა დატუსაღების დროს.

## ფულის გატანა

**პეტროგრადი.** პეტროგრადის და მის განყოფილებათა ბანკებიდან არეულობის დღეებში 24 თებერვლიდან 3 მარტამდე 1 მილიონი და ასი ათასი მანათით ნაკლები ფული მიუბარებიათ.

## დატუსაღება

**კავკასი.** აღმასრულებელმა კომიტეტმა დაატუსაღა ოლქის უფროსი ფლეიშერი, მისი უფროსი თანაშემწე სტეფანოვი და ჟანდარმთა პოლკოვნიკი ლადიჟენსკი.

## კიევის სამღვდელოება

**კიევი.** 7 მარტი. საერთო სამღვდელოების საეპარქიო კრებამ დაადგინა: „კიევის სამღვდელოება სავსებით ემორჩილება რა დროებითი აღმასრულებელ მთავრობას, სინიდისიერად მოვალედა ჰრაცხს თავს სიტყვით და საქმით განამტკიცოს ახალი სახელმწიფოებრივი წეს-წყობილება.

## ნაციონალ-სოციალისტთა კრება

**პეტროგრადი.** ზოგიერთა ნაციონალურ-სოციალისტთა პარტიების დელეგატთა თათბირი მოხდა, რომელშიაც იღებდნენ მონაწილეობას სხვა და სხვა ეროვნებათა წარმომადგენელნი. რევოლიუციის გამარჯვება აყენებს საკითხს სოციალისტთა პარტიების მიერ წამოყენებულ პოლიტიკურ და კულტურულ თვითგამორკვევის ლოზუნგის განხორციელებას. დაადგინეს, შეადგინონ დროებითი ბიურო, რომელსაც დაევალა მიიწვიოს ყველა ეროვნების ნაციონალ-სოციალისტთა პარტიების წარმომადგენელნი, ამ საკითხის გადასაწყვეტად.

## ზამთრის სასახლე

**პეტროგრადი.** სამართლის მინისტრმა ხელი მოაწერა აქტს, რომლითაც ზამთრის სასახლე დროებით მთავრობის ხელში გადადის.

## ეპისკოპოსის გადაყენება

**პეტროგრადი.** სინოდმა თანამდებობიდან გადააყენა ტობოლის მთავარ ეპისკოპოსი ბარნაბა და მის ადგილას გაამწესა სარატოვის ეპისკოპოსი გერმოგენი.

## ვაჭრობა-მრეწველობის კომისარი

**პეტროგრადი.** სათათბიროს წევრი სტეპანოვი ვაჭრობა-მრეწველობის კომისარად დაინიშნა და მინისტრის ამხანაგის უფლებით აღიჭურვა.

## სამღვდელოების კავშირი

**პეტროგრადი.** პეტროგრადში სათათბიროს დეპუტატ პოპოვ პირველის თაოსნობით არსდება კავშირი მართლმადიდებელ დემოკრატიულ სამღვდელოებისა.

## ბეჭვდის საქმის გამგე

**პეტროგრადი.** ბეჭვდითი საქმის მთავარ სამმართველოს გამგეთ დაინიშნა სახელმწიფო სათათბიროს წევრი გრაფი დ. ა. კაპნისტი.

## ქაღალდის ფულის გამოცემა

**პეტროგრადი.** დროებითმა მთავრობამ დაადგინა: სახელმწიფო ბანკს უფლება მიეცეს 2 მილიარდი მანათის ქაღალდის ფული გამოსცეს.

## მუშაობის განახლება

**პეტროგრადი.** სახელმწიფო ქაღალდების ფულის დამამზადებელ მუშათა კრებას დაესწრო ფინანსთა მინისტრი მ. ი. ტერეშჩენკო, რომელიც მიესალმა მუშებს და თან განუცხადა: მუშაობის შეჩერება დიდს უხერხულობაში აგდებს სახელმწიფო ბანკის საქმეს, რაც გავლენას ახდენს ბრძოლის ველსა და პროვინციაში ხარჯების გასწორებას. მუშები მინისტრის სიტყვას თანაგრძნობით მიეგებნენ და გადასწყვიტეს მუშაობის განახლება.

## ჰერცოგ მეკლენბურგ-სტრელიცის დატუსაღება

**პეტროგრადი**, 7 მარტი. იუსტიციის მინისტრის ა. კერენსკის განკარგულებით დაპატიმრებულ იქნა ჰერცოგი მეკლენბურგ-სტრელიცკი, რომელიც სათათბიროს სამინისტრო პავილიონში გაგზავნეს.

## საერობო უფროსების გაუქმება

**პეტროგრადი.** გლეხმა-დეპუტატებმა, რიცხვით 22 კაცმა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს სთხოვეს განიხილონ კითხვა იმის შესახებ, რომ გაუქმებულ იქმნას უმაკნისი ინსტიტუტი საერობო უფროსებისა და გაანთავისუფლონ მრავალტანჯული გლეხობა ამ არამკითხე მზრუნველ-პატრონების ხელიდან.

## ამნისტია

**პეტროგრადი**, 7 მარტი. დროებითი მთავრობის ბრძანება ამნისტიის

შესახებ: ხალხის სინიდისის ხემწიფებრივს მოთხოვნილების აღსრულებად, ისტორიულის სამართლიანობის სახელითა და თავისუფლებისა და სამართლიანობაზე დამყარებულ ახალის წესწყობილების საბოლოო გამარჯვების აღსანიშნავად, ცხადდება საყოველთაო საპოლიტიკო ამნისტია.

**კიევი**, 7 მარტი. საკომერციო ინსტიტუტის და პოლიტეხნიკუმის სტუდენტებმა სამხრეულიდან საიმპერატორო გვირგვინები ჩამოხსნეს და საყუმბარო ქარხნებს გადასცეს.

**გომელი**, 7 მარტი. დატყვევებული ფრედერიქსი სასტუმრო „სავოიაში“ ჰყავსთ, მცველებად უდგანან სალდათები-მილიციონერები. ვოგზალზე დატყვევების დროს აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. ვაგონიდან რომ გამოვიდა ხალხსა სთხოვა, დაიშალენითო, რადგან მოკვლისა შეეშინდა. მილიციის უფროსმა მისი თხოვნა აასრულა. მის დატუსაღების ამბავი სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს აცნობეს. ელიან განკარგულებას.

## საიდუმლო პოლიციის ჯაშუშების დატუსაღება

**პეტროგრადი**. იუსტიციის მინისტრის კერენსკის განკარგულებით დაატუსაღეს საიდუმლო პოლიციის ჯაშუში - თანამშრომლები: ბაგდანოვის ასული, ლიპინგი, სკულსკაიას ასული და გულიას ასული. ორ უკანასკნელ ქალის შესახებ ბ. ბურცევმა განაცხადა: ექვსი თვეა რაც შეუდგა მათის მოქმედების გამოკვლევას და არავითარი საბუთი არ აღმომიჩენია, რაიც ჩირქსა სცხებდეს მათს მოქმედებას თავისუფლების წინააღმდეგაო“, ამიტომ ისინი გაანთავისუფლეს ბ. ბურცევის თავდებობით.

## ლოიდ-ჯორჯის აზრი

**ლონდონი**. თემთა პალატაში ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა: „რუსეთში მომხდარი სასწრაფო სახელმწიფოებრივი დემოკრატიული ცვლილება უნდა ჩაითვალოს ერთ უდიდეს მოვლენად რუსეთის ცხოვრებაში. უწესოება, რომელსაც ადგილი ჰქონდა პეტროგრადში 24 თებერვალს და რომელიც გამოწვეული იყო შიმშილობით, იყო გარეგანი მიზეზი რევოლიუციისა. ჯარისკაცებმა უარი განაცხადეს ხალხის აჯანყების ჩაქრობაზე და მხარი გაუმაგრეს დროებითი აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც შესდგა სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის როძიანკოს მეთაურობით და ახალი წესწყობილების დასაცავად და განსამტკიცებლად დაარსდა ძლიერი დროებითი მთავრობა თ-დ ლვოვის თავმჯდომარეობით. მთავრობას მიემხრო მთელი ქვეყანა, არმია და ფლოტი! რევოლუციამ თითქმის უსისხლოდ, უმსხვერპლოდ ჩაიარა! ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ ახალმა მთავრობამ დაისახა მიზნად ომის გაგრძელება გამარჯვებამდე და ამიტომ მე დარწმუნებული ვარ, რომ განახლებული რუსეთი, თავისუფალი ხალხი გაათკეცებულის ენერგიით ეცდება მტრის დამარცხებას და ამასთანავე იგი დარაჯად ედგება განახლებული რუსეთის თავისუფლებას.

## ომის დეპეშები

8 მარტი

**მთავარ ბანაკის ცნობა.**

**პეტროგრადი**. დასავლეთისა და რუმინეთის ფრონტზე სროლაა. ორივე ბანაკის მზვერავნი თავგამოდებით მოქმედებენ

**კავკასიის ფრონტზე**, საკიზის მიმართულებით რუსის მოწინავე ნაწილი ოსმალებს მისდევს. რუსები ოსმალეთის ჯარის საზღვრებში შეიჭრნენ. ქერმანშახის მიმართულებით ოსმალთა დევნა გრძელდება.

### იტალიის ფრონტი

**რომი**, 7 მარტი. ოფიციალი. გუშინ არტილერიის ბრძოლა სწარმოებდა ყველა ფრონტზე, განსაკუთრებით ტონალესა, კალონიკოს ველსა, პაზუბიოს რაიონსა, აზიაგოს მთაგრეხილსა და სხვა ახლო მახლო მიდამოებში. ჰაეპლანებს მრავალი შეტაკება მოუხდათ იტალიელებმა ერთი ჰაეროპლანი ჩამოაგდეს.

### ინგლისი

**ლონდონი**. 7 მარტი. ინგლისის ჯარებმა ბაპომიდან დასავლეთით 4 მილზე წაიწიეს, ხოლო სამხრეთ დასავლეთით 6 მილზე.

**პარიზი**. მონასტრის ჩრდილოეთით და დასავლეთით ფრანგთა ჯარებმა აიღეს „1248“ მაღლობი და სოფ. რასტანი. მტრის იერიშები მოგერიებულ იქმნა. ფრანგებმა ხელთ იგდეს 9 ტყვიისმფრქვეველი და 1200 კაცი დაატყვევეს. მონასტირს მტერმა ქიმიურად შეზავებული ყუმბარები დაუშინა.

**თბილისი**. 8 მარტი. რუსთა შეტევა გრძელდება, უკვე მოსულის ვილაეტში დაიწყო ბრძოლა. ბაღდადის მიმართულებით 3 მარტს მტერმა შარეზთან დაიჭირა პოზიციები და იქ გამაგრებულა. 16 საათის ბრძოლის შემდეგ თურქებმა თავი გაანებეს ამ პოზიციებსაც და კვლავ დაიხიეს კერინდისაკენ. რუსებმა აიღეს სოფ. ალიაბადი, კესენლიდან 5 ვერსზე. კერენდაში კარგა ძალებმა მოიყარეს თავი. მტერი უკან დახევის დროს თავს ანებებს საბარგო ურმებს, სურსათს და სხვ. თუმცა მტრის დევნა მძიმე პირობებში ხდება, მაგრამ რუსების ჯარები მაინც შეუჩერებლივ მისდევენ მას, არ ასვენებენ.

## უკანასკნელი ცნობები

**როგორც ხმა დადის, ბალაჯარაში დიდ მთავრის მატარებელი რევოლუციონერებს შეუჩერებიათ, დაუტყვევებიათ ყველანი, ვინც დიდს მთავარს თან ახლდნენ; მათ შორის, ის ტომინი, არლოვი და იანუშკევიჩი.**

—

**დამკრძალავი კომისია აცხადებს: აუარებელ ტეხნიკურ დაბრკოლების მიზეზით რევოლუციაში დახოცილთა დაკრძალვა 10 მარტს აღარ მოხდება დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებულიო.**

—

**შვეციის სოციალისტურმა პარტიამ დეპ. ჩხეიძეს მისალოცი დეპეშა გამოუგზავნა, რომელიც შემდეგის ხიტყვებით თავდება: გაუმარჯოს რუსეთის რევოლუციას, სოციალისტების ინტერნაციონალს და ახალ რუსეთს, სამართლიანობის ძლიერ მცველს ჭეშმარიტ მხოფლიო ზავისას, რომელიც ომის გათავებისას დამყარდებაო.**

—

**ახალ მინისტრების უმრავლესობა სოციალისტებისა და რადიკალ სოციალისტებისაგან შესდგება.**

—

**საზღვაო სამინისტრომ გადაწყვიტა ბრძანება გასცეს 200 მმუსვრელი ნავის აგებას წყალქვეშა ნავების მოსასპობლად. ამდენივე ნავს აგებინებენ კერძო საამშენებლო დაწესებულებათ.**

—

**პორტუგალიის ნაპირებზე დაიღუპა შვედელთა გემი „ვიქტორიუსი“.**

—

**პეტროგრადში ხმა გავრცელდა, ვითომც გერმანეთში რევოლუცია მომხდარიყოს და ვილჰელმი მოეკლათ. გაზეთების ცნობით ეს ხმა სრული სიყალბეა. პირ იქით, გერმანეთში სიწყნარეა და გერმანეთი დიდ მზადებაშია რუსეთთან საბრძოლველად, მით უმეტეს ეხლა, როცა გაიგეს, რომ რუსეთში რევოლუცია ხდებაო.**

—

გუჩკოვი და შულგინი, როდესაც მეფესთან მივიდნენ, ზრდილობიანად უამბეს მომხდარ ამბების შესახებ და ასე დააბოლოვეს: იფიქრეთ, მეფევ, ილოცეთ და ტახტიდან ჩამოსვლის ქაღალდს ხელი მოაწერეთო. მეფემ მშვიდად გაიცინა და სთქვა: მე გუშინ დღეს ვფიქრობდი და გადავსწყვიტეო. მთავრობის წარმომადგენელთ ჰსურთ, რომ დიდმა მთავარმა მიხეილ ალექსანდრეს ძემ კონსტიტუციის ერთგულებაზე საჯარო ფიცი მიიღოს, მეფემ დაუმატა, რომ „მტკიცე და დაურღვეველი ფიცი“ უნდა მიიღოსო. მეფემ უთხრა: ნუ თუ ყველაფერი მოჩხომილია და საქმის გამოსწორება აღარ შეიძლებაო? დეპუტატებმა უპასუხეს, რომ სათათბიროს გარშემო ჯარი ახვევია და ისინი არ დასთანხმდებიან, რომ მეფისგან რაიმე ცვლილება მოხდესო. მაშინ მეფემ ხელი მოაწერა ტახტიდან ჩამოსვლის ქაღალდს. როცა ქაღალდი მეფემ გადასცა, ერთმა ძველის მთავრობის მომხრემ უთხრა მეფეს: 12 თებერვალს რომ პასუხის მგები სამინისტრო დაგვეყენებინა, ეს ამბები არ მოხდებოდაო. ამაზე მეფემ მხოლოდ მხრები აიწია.

—

სინოდის ობერ-პროკურორმა ვ. ლვოვმა ეპ. ისიდორე განდევნა, რადგან მან რასპუტინის სული მოიხსენია. ეპ. ისიდორემ უთხრა: რასპუტინი კონსტიტუციონალ - დემოკრატი იყოო.

—

რკინის გზის ჟანდარმებს, რიცხვით 42,000, მომქმედ ჯარში ჰგზავნიან.

—

ნაიმპერატორალი ნიკოლოზ რომანოვი ლივადიაში წავიდა.

—

მეფის სასახლეში ხელ-ახლად კრება შესდგა. ნაშუადღევს გამოვიდა მიხეილ ალექსანდრეს ძე და დეპუტატებს მოახსენა: ყოვმანს არ დავიწყებდი ტახტზე ასასვლელად, უკეთუ დარწმუნებით მეცოდინება, რომ ჩემგნით გვირგვინის მიღება თუ არ მიღება უფრო სასარგებლო იქნება რუსეთისთვის. უფრო ძნელია ჩემთვის ამ ნაბიჯის გადადგმა, რადგან, რამდენადაც მე ვიცი, ამ საკითხის შესახებ ერთსულოვნება არ გახლავს თვით ახალ მთავრობის წევრთა შორის. უმჯობესია რუსეთის კეთილდღეობისთვის მე ტახტზე უარი ვსთქვა და უმაღლეს მთავრობის ძალა ჩავაბარდეს სახელმწიფო სათათბიროსაო.

—

გორემიკინი სატუსაღოში მიყვანის დროს ეტლზე შემცდარა.

—

მილიუკოვმა მოკავშირეებს დეპეშები დაუგზავნა, რომ ძველის მთავრობის დამხობა მთელი რუსეთის თანაგრძნობით მოხდა და რუსეთი ძველებურად შეთანხმებულად იმოქმედებს მოკავშირეებთანაო.

—

სასამართლოს დაწესებულებებში მეფისა და მისი საგვარეულოს სურათები ჩამოხსნეს. მოხელეებს აეკრძალათ ძველის მთავრობის ორდენები ატარონ.

—

ბერლინის გაზეთები სხვა და სხვა ნაირის აზრით შეხვდნენ სხვა და სხვა პარტიიდან შემდგარს რუსეთის ახალ მთავრობას. უპირველესად ჰსურთ გაიგონ კერენსკის მუშაობა მილიუკოვთან იმის მომასწავებელი ხომ არ არის, რომ ომი განაგრძელონ, თუ ჰსურთ ზავი ჩამოაგდონო. გერმანეთის ს. დ. ორგანო „ფორვერტსი“ სწერს: მალე დროებით მთავრობაში განხეთქილება მოხდება, ან კერენსკი ვერ მიაღწევს თავის მიზანს, ზავს ვერ ჩამოაგდებს და დაიწყება პროლეტარული რევოლუცია, ან და დაიწყება კონტრ-რევოლუციაო.

—

გერმანეთის შინაურ ცხოვრებაზე რუსეთის რევოლიუციამ დიდი გავლენა მოახდინა. ათასკეცის ენერგიით ემზადებიან გერმანელები, ხოლო რა სწადიანთ, არავინ იცის.

—

სინოდიდან მეფის სავარძელი გამოიტანეს და მუზეუმს გადასცეს.

## ახალი ამბავი

✦ **აღმასრულებელ კომიტეტში** სხვა და სხვა ორგანიზაციებისა და პარტიებისაგან აირჩიეს 45 კაცი: არაქელიანი, აბრამიანი, ერზეკიანი, გ. თუმანოვი, არუთუნოვი, ჯამაშიანი, ს. არუთუნოვი, შაეერდოვი, არღუთინსკი, მანისიანცი, ტიგრანოვი, შახატუნი, ხანონიანი, აფრიკიანი, პოპოვი, ხატისოვი, ვესელოვზოროვი, ჩერნიშევი, შტრეიხერი, მახარაძე, ბარათაშვილი, ლომთათიძე, რამიშვილი მაჭავარიანი, რაზმაძე, მაისურაძე, ჯიბლაძე, ალექსი-მესხიშვილი, გელეიშვილი, გოგებაშვილი, ქუმბურიძე, გედევანიშვილი, ქარცივაძე, ჭიაბრიშვილი და ჟორდანია.

✦ **მოწოდება**. ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ მოწოდება გამოსცა მხედრობისადმი. მოწოდებაში სავსებით არის აღნიშნული, თუ როგორ დაემხო ძველი რეჟიმი, როგორ დამყარდა ყველასათვის სასურველი ახალი წესწყობილება და რა ჭირ ვარამი გამოიარა ხალხმა ახალი რეჟიმის დასაარსებლად. მოწოდებაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ ომი სრულ გამარჯვებამდის უნდა ვაწარმოვოთო. ბოლოს მოწოდება გაიძახის: „გაუმარჯოს დროებით სარევოლიუციო მთავრობას! გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას! გაუმარჯოს მუშათა დეპუტატების საბჭოს! გაუმარჯოს ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს.

✦ **ალიშევსკი**. უმაღლეს მთავარსარდალმა, მეფის ნაცვლის სამოქალაქო საქმეთა განყოფილების თანამდებობის აღმასრულებლად დანიშნა საბჭოს წევრი ალიშევსკი, დროებითი მთავრობის განკარგულებამდე. ეს ამბავი, ალიშევსკიმ დეპეშით აცნობა შინაგან მინისტრს თავად ლვოვს.

✦ **ქალთა ორგანიზაცია**. მოხდა თბილისის ქალთა უმაღლეს კურსების მოსწავლეთა საერთო კრება. დადგენილ იქმნა მჭიდროდ შეკავშირდენ და მტკიცე ორგანიზაცია შექმნან. არჩეულ იქმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელშიაც 15 ქალი შედის.

✦ **გ. ქუჩიშვილის სალიტერატურო დილა** გაიმართება კვირას, 12 მარტს, სახალხო სახლში, დილის 12 საათზე. დილა უსათუოდ შესდგება და ამისათვის დილის გამგე სთხოვს ყველა მონაწილეობის მიმღებთ თავის დროზე მობრძანდნენ.

✦ **თბილისის დაცვა** მილიციის შედგენამდე მიენდო 218 სათადარიგო პოლკს.

✦ **ნამეფისნაცვლარის სასახლე** დაჭრილ და ავადმყოფ მხედართა ლაზარეთად გადააქციეს.

✦ **მუსულმანთა კრება** მოხდება 15 მარტს განჯაშ . უნდა ითათბირონ, თუ რა გზას დაადგნენ.

✦ **გენერალ ვოლსკის მაგიერ** დაინიშნა გენერ.-ლეიტ. ნ. ბარათაშვილი.

✦ **თბ. ქალაქის მილიციის უფროსად** არჩეულ იქმნა მიხ. კოგანი. გაუქმებულ პოლიციის უფროსი მ. ათაბეგოვი თ ნამდებობიდან გადადგა.

✦ **შავი ხახადისაგან** გარდაიცვალა ლაზარეთში (№ 40) მოწყალების დაჲ თამარი მენთეშაშვილისა.

✦ **თბ. აღმასრულებელ კომიტეტს** ყოველ დღე მრავალი მთხოვნელი მოსდის ქალები და ბავშვები—პოლიციელების და პოლიტიკურ დამნაშავეთა დედები, ცოლები და შვილები; ზოგნი მათგანი სთხოვენ, არ დამიტუსაღოთ მამა ან ქმარიო და ზოგიც დატუსაღებულთ განთავისუფლებას ითხოვს.

✦ **შეწირულება**. ამბარცუმ ს. მელიქოვმა 10,000 მანეთი შესწირა თბილისის აღმასრულებელ კომიტეტს.

✦ **ჟურნალისტების კრება**. 7 მარ. საღამოს 7 საათზე, კრება ჰქონდათ თბილისის ჟურნალ-გაზეთების თანამშრომლებს. არ დასწრებიან „თანამედროვე აზრის“ და „ჰორიზონის“ წარმომადგენელნი. თავმჯდომარეობდა ა. ყაჩეილი. თათბირი იყო შესახებ იმისა, თუ რა დახმარება აღმოუჩინოს პრესამ ახალ რეჟიმს. დადგენილ იქმნა, რომ ჟურნალ-გაზეთებმა დაუყოვნებლივ გაავრცელონ ხალხში ყოველგვარი ახალი მოვლენა პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებისა. გარდა ამისა დიდძალ ხმის უმეტესობით გადაწყდა დაარსდეს თბილისის პრესის თანამშრომელთა კავშირი, რომლის წარმომადგენლები უნდა შედიოდნენ წევრებად ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში. არჩეულ იქმნა ბიურო, რომელსაც დაევალა მოიწვიოს დამფუძნებელი კრება კავშირისა. ბიუროს წევრებად არჩეული არიან: ვ. ქავთარაძე, ა. ყანჩელი, ბ-ნი ნაროდიანი და ბ-ნი ვარდანიანი.

✦ **მინისტრთა თავმჯდომარე** ლვოვი დეპეშით ატყობინებს ქალაქის თავს ხატისოვსო, რომ 7 მარტს პეტროგრადიდან თბილისში გაემგზავრენ დროებით თავმჯდომარე რწმუნებულობით: პაპაჯანოვი, ჯაფაროვი, აბაშიძე და პერეგერზეკიო.

✦ **თავდასხმა**. სპარსელების ერზრუმის კონსულს მირზაქერიმ ულ-მულქს ვარანცოვის მოსახვევში დახვდა სამი კაცი, სალდათურათ გამოწყობილი, სიკვდილით დაემუქრნენ და წაართვეს 510 მ. ნეთი.

✦ **პოლიტიკური მანიფესტაცია**. გუშინ 6, 9 მარტს, თბილისში კიდევ განმეორდა დიდი პოლიტიკური მანიფესტაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს არტილერიამ, პრაპორშჩიკებთა სკოლამ, ქვეითა ჯარებმა და სხვ. ჯარებს შეუერთდნენ ქალაქის მცხოვრებნი და ამ რიგად უმთავრესი ქუჩები თბილისისა, საცა კი მანიფესტაციამ გაიარა, ხალხის ზღვას წარმოიდგენდა. ჯარებს თან მიჰქონდათ წითელი ბაირაღები ზე წარწერით: „გ უმარჯოს თავისუფალ რუსეთს, ბრძოლა საბოლოოდ გამარჯვებამდისინ!“ ნაშუადღევის 2 საათზე მანიფესტაციამ ერევნის მოედანზე მიაღწია. მოედანი ხალხით გაიჭედა. რამდენიმე ორატორმა გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა. წესიერება სამაგალითო იყო. მანიფესტაციამ დიდ ხანს გასტანა და შემდეგ მშვიდობიანად დაიშალა.

✦ **პოლიციელთა განცხადება**. თბილისის პოლიციის მოხელედ ნამყოფთ („გოროდოვოებს“) განცხადება გაუგზავნიათ უფროს მინისტრ თავ ლვოვისათვის. პოლიციელნი აცხადებენ, რომ ჩვენ დიდის სიხარულით და თანაგრძნობით ვეგებებით ახალ მთავრობას და მზადა ვართ ახალ წესწყობილებას ვემსახუროთ და დავიცვათ იგიო. გარდა კანონიერი სასამართლოსი არავის ნება არ გვ ქვს დაგვიშალოს ჩვენ ვემსახუროთ ახალ რეჟიმს და ჩვენი მოქალაქობრივი მოვალეობანი შევასრულოთო. ამასთანავე განცხადების ავტორნი სთხოვენ ბ-ნ მინისტრს, რომ ამ განცხადების ასლი გამოუგზავნოს თბილისის ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს, როგორც ადგილობრივ კანონიერ მთავრობას.

✦ **ყუბანის აღმასრულებელი კომიტეტი** დეპეშით ატყობინებს თბილისის ქალაქის თავს, რომ ამ კომიტეტის განკარგულებით 1) გადაყენებულ იქმნა ყუბანის მაზრის უფროსი ლეონტიევი, 2) გადაყენებულ იქმნა ყუბანის პოლიცმეისტერიც და მის ადგილას დაინიშნა კაპიტანი ზაზიკევსკი.

✦ **მასწავლებელთა კრება**. ხვალ, 11 მარტს, საღამოს 7 საათზე, რეალურ სასწავლებლის დარბაზში საერთო კრება ექნებათ თბილისის ყველა სასწავლებლის მასწავლებლებს. კრებამ უნდა აირჩიოს აღმასრულებელ კომიტეტი, რომელსაც დაევალება გადააყენოს ძველი ადმინისტრატორები, აირჩიოს ახლები, მასწავლებელთა და ხალხის ნდობით აღჭურვილნი და ეხლავე შეუდგენ სწავლა-აღზდის საქმის ნორმალურად განხორციელებას.

✦ **კადეტთა კრება**. 7 მარტს გიორგი თუმანოვის თავმჯდომარეობით შესდგა კადეტთა კრება. დღევანდელ მომენტის შესახებ. კრებამ აირჩია ბიურო, რომელმაც უნდა მოახდინოს კადეტთა საორგანიზაციო კრებები.

## აღმასრულებელი კომიტეტი ქუთაისში

ქუთაისში შესდგა აღმასრულებელი კომიტეტი, რომელმაც მოქალაქეებს შემდეგი მოწოდებით მიჰმართა:

მოქალაქენო! შესრულდა დიდებული აქტი: რუსეთის დამღუპველი ძველი მთავრობა დაინგრა. სათათბიროს აღმასრულებელმა კომიტეტმა და მუშათა დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ხელში აიღეს დროებითი მართველობა და აწესრიგებენ სახელმწიფო მართვა-გამგეობას. საჭიროა მხარი დავუჭიროთ ამ მთავრობას, განვამტკიცოთ მისი პოზიცია. დავტუქსოთ ბნელი ძალები და ამ რიგათ გამარჯვება მივსცეთ სიმართლესა და დროებით მთავრობას.

მხოლოდ საერთო ძალღონითა და მწყობრი მოქმედებით ყველა ოპოზიციონურ და დემოკრატიულ კლასების მეოხებით გატარდება დაწყებული დიდი რევოლიუცია.

ამ მიზნით, ადგილობრივ, ქუთაისში დაარსდა აღმასრულებელი კომიტეტი, ყველა მომქმედი პარტიების დელეგატებისგან შემდგარი.

ეს კომიტეტი ხელმძღვანელობს ადგილობრივ დღევანდელ მომენტს და, აღჭურვილი დემოკრატიისა და ოპოზიციონური ძალების ნდობით, მოგიწოდებს თქვენ, მოქალაქენო:

დაიცავით ყველგან ქალაქებში და სოფლებში სრული წესიერება! შებრძოლეთ ყოველგვარ ძალადობასა და კერძო საკუთრების მითვისებას!

ყოველი თქვენი პოლიტიკური გამოსვლა წინასწარ ამცნეთ კომიტეტს და მიიღეთ ყოველი ზომა დაავგვირგვინოთ დიდებული რევოლიუცია!

კომიტეტის თავმჯდომარე ი. მ. ჩიქოვანი.

**კომიტეტის წევრნი:**

ივანე (კოტა) აბაშიძე.
ალექსანდრე გარსევანიშვილი.
ევგენი გეგეჭკორი.
გრიგოლ გველესიანი.
გრიგოლ გიორგაძე.
ივანე გობეჩია.
ალექსანდრე თორაძე.
ვსევოლოდ კაპანაძე.
გრიგოლ ლორთქიფანიძე.
ნიკო ლორთქიფანიძე.
გრიგოლ ურატაძე.
ლეო შენგელაია.

კომიტეტის მდივანი დავით ავალიანი. მდივნის ამხანაგი შოთა დადიანი.

## საჭირო განმარტება

იმისთანა ხანა დადგა, როცა უსინათლოს ხილვა ეძლევა და უენო ენას იდგამს. ჩვენც, მამულის სიყვარულის გრძნობით აღფრთოვანებულთ, გვსურს ჩვენი ჭკუით, გონებით და ნივთიერის ქონებით რაიმე დახმარება გავუწიოთ ჩვენს ეროვნულ საქმეს. დიდის ყურადღებით წავიკითხეთ „საქართველო“-ში (№ 54) მეთაური „გაერთიანებისაკენ“; და იმავე ნომერში „მამულიშვილებთან მოწოდება—ქონებრივ დახმარებაზე „ეროვნულ დემოკრატიულ“ პარტიისათვის. მაგრამ ერთი საკითხი გვებადება:—განა ფედერალისტების პარტია ეროვნულ-დემოკრატიული არ არის? განა სოციალ-დემოკრატიული პარტიის გეგმა და მისწრაფება ეწინააღმდეგება ეროვნულ-დემოკრატიის წინმსვლელობას? შესაძლოა, ამ კითხვებმა ღიმილი გამოიწვიოს გამოცდილ და გაწრთვნილ პოლიტიკურს მოღვაწის სახეზე, მაგრამ ნუ დაივიწყებენ იმ უმრავლეს მამულიშვილებს, რომელთაც სურთ არამც თუ ქონებრივათ აღმოუჩინონ, არამედ მთელის თავის არსებით და გონებით ამოუდგნენ მხარში.

ამისათვის კი საჭიროა გავიგოთ დაწვრილებით როგორც თქვენი, „საქართველოსი“, ისე ქართველთა შორის სხვა არსებულ პარტიების პროგრამა. ამასთანავე გიგზავნით ჯერ-ჯერობით ერთ თუმანს, როგორც თანამგრძნობელი თქვენი გაზეთისა.

ს. ბ.

## ჩემი მილოცვა ქართველ ერისადმი!

პირშავ კლდეზედ მიჯაჭვულმა ამირანმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და მონობის ჯაჭვის მსხვრევას შეუდგა! შორს არ არის ის დრო, როცა სრულიად განთავისუფლებული გმირული სიმღერით გადმოეშვება ბარისაკენ. ჩრდილოეთის ახალმა მზემ საქართველოს ბინდით მოცული ცაც ოდნავ ის ნათელით შეათრთოლა: ქედ წახრილმა საქართველომ თავი ამაყად ასწია და ელვარე თვალები დაფიქრებით მიაპყრო რუსეთის განთიადს. მრავალ დროთა განმავლობაში მაწდილ მოხდილმა ქართველმა დედამ შავი ძაძები შემოიფხრიწა და მის მჭუნვარე სახეზე ბედნიერების ღიმილმა შეითამაშა. ას თექვსმეტი წლის განმავლობაში ქართველი ერის გულის მჯიჯგნელი სვავ-ყორანი დამარცხდა... შელახული ენა ამეტყველდა... შერყვნილმა სარწმუნოებამ თავისუფლება იგრძნო და ქართველის გულში აინთო სასოება რწმენისადმი... გოლგოთის მთაზედ მდგარი კერპები, რომლებსაც ძალმომრეობით გვარწმუნებინებდნენ, დაიმსხვრნენ და საზარილის ღმუილით უფსკრულში ჩაექანნენ... ამის ალაგას თავისუფლების დროშა აფრიალდა... დადგა დრო, როცა ჩვენ ქართველ ერს შეგვეძლება დიდხან სანატრელი სურვილები განვახორციელოთ... ეს სურვილი კი საქართველოს თავისუფლებაა... ვულოცავ საქართველოს ამ თავისუფლებასა... მაშ გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს, თავისუფალ ერს!..

ვანო სხათაშვილი.

## საქართველოს ეკლესია

„აღმობრწყინდა მზე დიდებული და გაანათლა ქვეყანა ბნელი“, სთქვა დიდებულმა პოეტმა ილია ჭავჭავაძემ. „აღზდეგინ ღმერთი და განიბნენ მტერნი მისნი. ესე არს დღე, რომელ ჰქმნა უფალმან, ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ მას შინა“, იწინასწარმეტყველა დავით მეფემ. „მოიკლა და განმწარდა ჯოჯოხეთი. სიკვდილო სადა არსსა წერტილი შენი“? შეჰღაღადებდა ქრისტეს აღდგომას იოვანე ოქროპირი. ეს სიტყვები სწორეთ დღევანდელ მომენტისათვისაა წარმოთქმულნი, ზედ გამოჭრილნი.

„აღმობრწყინებულის დიდებულის მზის სხივები“ ყველგან შეაშუქეს, ყველგან შეიტანეს თვის ცხოველმყოფელ სინათლე-სითბოს და დიდის ხნით სასო-მიხდილნი, ბნელის წყვდიადით გარე მოცულნი, სიბნელის მეტის არაფრის მომლოდნელნი, „წამ-უწუმ ყვავ-ყორნისაგან გულ-ღვიძლ დაფლეთილნი“, ზამთრის სუსხისგან დამზრალგათოშილნი არსნი, ზეზე წამოიჭრებიან, დიდ ხანს გაოგნებულნი ერთს წერტილს მიაჩერდებიან და, რა რომ შარავანდედი თან და თან იმატებს, გონს მოვლენ და საამურს ჰიმნს უგალობენ „ცხოვრების მომნიჭებელი“.

ერთ - ერთი სხივი საქართველოს ეკლესიაშიც შეიჭრება. ეკლესია იგი აქამდის შებოჭილი, უფლება და ქონება აყრილი, სხვისი მონობისაგან დაჩანაკებულ-განაწამები ბორკილს დაამსხვრევს, ხუნდებს აიხსნის და წინანდებულ სძლის პირს შემოსძახებს: „მოვედით და ვსვათ სასმელი ახალიო“. მტერი, შესაძლოა, ერთი კიდევ შეტორტმანდეს, მოიკრიბოს ძალა კვლავ იმის შესაშუსრავად, მაგრამ ღონე მიხდილი, დაუძლურებული იგი მის მრისხანებას, აღტყინებას ვეღარ გაუძლებს, ხმაოდ დაშვრება. აქნამდი აბლად შთენილი ეკლესია დღეს მომვლელ-პატრონისგან ზურგ გამაგრებული, დაუძვრება კლანჭებისაგან მოსისხარს, ეკლესიას კი დიდიდის ხნის უნახავი „სასძლო“ თვის „თავს“, „სიძეს“, ქრისტეს მოუხმობს და მას ეამბორება, დაეკონება, მასთან ჩამოაყალიბებს თვის სულისკვეთებას.

თუ აქნამდი „აწმყო“ არ სწყალობდა და მომავალი მისი იყო, ეს „მომავალიც“ ხომ დადგა ამ ჟამად.

ეკლესია უნდა განახლდეს „ვითარცა ორბის სიჭაბუკე მისი“, კვლავ უნდა დამყაროს „კლდესა ზედა და ბჭენი ჯოჯოხეთისანი არ უნდა ერეოდენ მას“, ამ ეკლესიის „კლიტენი“ კი უნდა ჩაჰბარდეს, რომელი იმის „ღირსი არიან“.

მორწმუნეებმა ერთად უნდა გამოიმუშაოს სამშობლო ქვეყნის ეკლესიის წეს-წყობილება. დროებით კი, ჩვენის ფიქრით, ახალ მართვა-გამგეობას საფუძვლად უნდა დაედვას 1906 წელს ცალკე კომიტეტისგან შედგენილი საქართველოს ეკლესიის რეორგა-

ნიზაციის პროექტი. მერმე კი საამდროო დემოკრატიულს პრინციპზე უნდა აეგოს მისი გამგებლობა; შეურყეველ, გარკვეულ გზაზე უნდა დაადგეს იგი, რომ ნაყოფიერი შეიქნეს მისი დედობრივი მზრუნველობა აქნამდის მისგან გამოთიშულ სამწყსოსათვის.

დაწვრილებით ეკლესიის შესახებ მოლაპარაკება უნდა მოხდეს იმის გულწრფელ ქრისტიანობისაგან, როგორც ერიდან, ისე მღვდელთაგან, რადგან ეკლესიას ყველა შეადგენს. სარწმუნოება ყოველგან მხურვალებს და მორწმუნენი ყოველგან არიან. ესენი უეკლესიოდ ვერ დარჩებიან. ოღონდ ეკლესია უნდა მოეწყოს თანამედროვე დროისა და პირობების მიხედვით.

ქ. გძელი.

# დაბა-სოფლები

**ბორჯომი.** დღევანდელმა ამბებმა ბორჯომი და მისი ხეობა დიდს ალტაცებაში მოიყვანა. ხალხი შეგნებულად და დინჯად დაუხვდა. მარტის ხუთს რემერტის პარკში მომხდარ კრებაზე ბორჯ. მამულის მოურავმა, სხვათა შორის, განაცხადა, რომ ამ მამულის პატრონი—დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე აქამდე ქ. გრუშოვკაში (ხერსონის გუბ.) იყო გადასახლებული და აქ მოსვლა არ შეეძლოვო. ხალხმა სთხოვა, ჩვენის მხრივ დიდ მათავარს მილოცვის დეპეშა გაუგზანეთო, რაც შესრულებულ იქმნა.

სპეკულიანტი ვაჭრები დიდს საგონებელში ჩავარდნენ... ადგილობრივ რამოდენიმე ბერძენთა ხელში (ხრისტო მიხაილოვის, ლაზარე პანაიოტოვის და სხვ.) დიდძალი ფქვილია გადამალული. ეხლა ძალიან ჩამოჰყარეს ყურები... განზრახვა აქვთ გადააყენონ ძველ რეჟიმის ვერცხლის მოყვარე პოლიცია.

ბაგრატ ბეთანელი.

—

**ს. ბოდბის-ხევი** (ქიზიყი). 1917 წელს 26 თებერვალს მოხდა ს. ბოდბის-ხევის მომხმარებელ საზოგადოების წევრთა წლიური კრება. კრების თავმჯდომარეთ ერთხმივ იქმნა არჩეული დათიკო ხოსიტაშვილი. საზოგადოების გამგემ გიგო ნაცვალიშვილმა მიჰმართა კრებას მოკლე სიტყვით, სადაც განუმარტა მსმენელებს სასარგებლო მნიშვნელობა კოოპერაციისა, დაუხატა კრებას ეხლანდელი უნუგეშო ეკონომიური მდგომარეობა, და სთქვა, რომ „მხოლოდ შეკავშირებაშია ერთად-ერთი ხსნაო". მერმე შეუდგნენ წარსულის 1916 წლის ხარჯთ-აღრიცხვას. გამოირკვა, რომ საზოგადოებას ყველა ხარჯთა გარდა დარჩენია მოგება 4717 მან. 39 კაპ. აქედან ძირითადი თანხის გასაძლიერებლად გადაიდო 647 მან. 7 კაპ. პრემიათ ნავაჭრ საქონელს მიეცა 12 პროცენტი, ე. ი. 2878 მან. 32 კაპ. დივიდენდათ პაიებს მისცეს 1142 მან. ადგილობრივ სამკითხველოს გადასცეს 50 მან.

კრებამ გადასწყვიტა გახსნას საკუთარი სახარაზო, სანალბანდო და არსებულს მალაზიას მიუმატოს მანუფაქტურული განყოფილება.

დადგენილ იქმნა, რომ ბოდბის-ხევის მომხმარებელთა საზოგადოება ჩაეწეროს წევრათ ამიერ კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირში და ამისთვის გადაიდოს საჭირო თანხა.

რადგან ის შენობა, სადაც ეხლა მოთავსებულია საზოგადოების მალაზია, ძალიან პატარაა, ამიტომ კრებამ გადასწყვიტა მალაზია გადატანილ იქმნას თეატრის შენობაში, იმ დრომდის, სანამ საზოგადოება შეიძენდეს საკუთარს შენობას. გამოკვლევა იმისა, თუ რა დაჯდება თეატრის გადაკეთება მალაზიად, კრებამ მიანდო გამგეობას.

კრებამ გადასწყვიტა უფროს ნოქარს პავლე ნონიკაშვილს მიეცეს ჯამაგირი თვეში 80 მან.

დადგენილ იქმნა მოიწვიონ კასირი, რომელსაც მიეცემა თვეში 35 მან.

გამგეობის წევრებიდან კრებამ გამორიცხა მხოლოდ გიგა ტუხაშვილი, მის ალაგას არჩეულ იქმნა სანდრო ზარიძე.

სარევიზიო კომისიაში აირჩიეს ოთხი ახალი წევრი.

კრებამ გადასწყვიტა საზოგადოების გამგეს გიგო ნაცვლიშვილს მიეცეს თვეში 30 მან. ხაზინადარს მღვ. ლუკა ნაცვლიშვილს აგრეთვე 30 მან.

საღამოს 3 საათზე კრება დაიშალა.

როგორც კრებამ გამოარკვია, ბოდბის ხევის მცხოვრებლებს ნათლად შეუგნიათ ის სარგებლობა, რომელიც მოაქვს კოოპერაციას. ამიტომ ყველა ცდილობს გახდეს საზოგადოების წევრად. ახლო მამავალში მთელი ბოდბის ხევის მცხოვრებლები გახდებიან საზოგადოების წევრებად; ამის უტყუარი მაჩვენებელია შემდეგი ფაქტი: შარშან 1 თებერვალს საზოგადოებას ჰყავდა 123 წევრი. ეხლა კი მასში ირიცხება 560 წევრი.

აღსანიშნავია აქ ის, რომ ამ საზოგადო საქმეს სათავეში უდგანან მეტად პატიოსანნი, საზოგადო საქმისთვის თავდადებულნი და ყველასაგან ნდობით აღჭურვილნი პირნი. ესენი არიან: გიგო ნაცვლიშვილი, დათიკო ხოსიტაშვილი, მღვ. ლ. ნაცვლიშვილი.

ესენი, უკვე რავდენიმე წელიწადია, პირნათლად ემსახურებიან საზოგადო საქმეს. მიუხედავად იმისა, რომ საქმე აუარებელი აქვთ, ისინი იღებენ სულ მცირე გასამრჯელოს; თვეში 30 მან.

ვუსურვოთ საზოგადოებას ბრწყინვალე მომავალი.

ე. ნ—ილი.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვ, თქვენი პატივცემულ გაზეთ „საქართველოს" საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ იმ შეგნებულ პირთ, რომელთაც არ დაიშურეს არავითარი ხარჯი და შემწეობა აღმოუჩინეს ძიმითის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს, ფულათ თუ ნივთიერად.

შემომწირველთა სია: სამსონ გოკელიამ 25 მანეთი, ივანე ბარამიძემ 12 მან. 50 კ., ილარიონ მელივამ ქართველ მწერლების სურათები და ჯარის კაცმა ნიკიფორე ჩხარტიშვილმა შარშან და ამ წელში გამოუწერა მისი ხარჯით გაზეთი „თეატრი და ცხოვრება". მადლობას ვუძღვნი, როგორც მე აგრეთვე ძიმითის მცხოვრებნი.

ძიმითის უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამგეობის თავმჯდომარე მღვდელი ქ. ხელაძე.

# შემოწირულებანი

აკაკი წერეთლის სახელობის დ. საჩხერის სამკითხველო-ბიბლიოთეკას ფულად შემოსწირეს: თავად კონსტანტინე გიორგის ძე ამილახვარმა და იოსებ გომართელმა თითო თუმანი, ვარდენ ყიფიანმა 3 მანეთი!

ჟურნალ-გაზეთები გამოუწერეს: ილარიონ ოტ. გამყრელიძემ „თანამედროვე აზრი", ჯრუჭის მონასტრის არხიმანდრიტმა გაბრიელმა „ზაკავკაზსკაია რეჩი"; ექიმმა სევერიან ჯოლოშვილმა „სახალხო ფურცელი"; კიტა აბაშიძემ „ჩვენი მეგობარი"; სომხურ გაზეთის რედაქციამ „პაიქარ", მღვდ. ვიქტორ ტყემალაძემ „თეატრი და ცხოვრება"; კ. ლოლაძემ „სასოფლო გაზეთი"; თავად ალექსანდრე დიმიტრის ძე წერეთელმა ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულება; გიორგი გაფრინდაშვილმა წასულ წელს ორი თვით „თანამედროვე აზრი"; ბაბუცა წერეთლისამ წასულ წელს ორი თვით „ჩვენი მეგობარი". შემომწირველთ მადლობას უძღვნის სამკითხველოს

გამგეობა

—

კუკიის წმ. ნინოს უბნის ბიბლ.-სამკითხველოს შემოსწირეს: აბრამ მიქაძემ 5 მან.; თითო მანეთი: ბაბო შალიბელიშვილისამ, ვალ. ავალიშვილმა, ლად. ბილანაშვილმა და გიგა ვარგულაშვილმა.

შემომწირველთ მადლობას უძღვნის სამკითხველოს გამგეობა

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

# ამიერ-კავკასიის რკ. გზის
## მატარებლების მიმოსვლა
(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.43 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 3.20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.18 | საღ. |
| თელავისაკენ | № 4, | 8 | „ 58 | „ დილ. |

თფილისში მოდის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 | დილ |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 | საღ. |
| თელავიდან | | № 3, | 6 24 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ბარბარე იოსების ასული, სიდედრი ეკატერინე ალექსის ასული ძიძასა, ცოლის დები: მარიამ იოსების ასული ფუხაშვილისა, ალექსანდრა და ნინო იოსების ასულნი ძაძისანი, ქვისლი ივანე იოსების ძე ფუხაშვილი შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ

## ნიკოლოზ სოფრომის ძის
# ფარულავას

სულის მოსახსენებლად შაბათს, 11 მარტს, 10 საათზე, წმინდა ნინოს ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი.
(1—558—1)

თბილისის ქართული გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ 11 მარტს გიმნაზიის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი განსვენებულ

## ალექსი ბესარიონის ძის
# ჭიჭინაძის

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება დილის 12 საათზედ.
(1—609—1)



მიიღება ხელის მოწერა
# სანდრო შანშიაშვილის თხზულებაზე
26 წიგნი
## გამოვა შემდეგის სერიით:

ლექსები.
1. ცხოვრების გზაზე,
2. ტრფობის ნაშთი,
3. ხვედა მამულისადმი,
4. ბალი ხევდისა,
5. საგალობელნი,
6. წიგნი ხიმღერებისა,
7. სულამიტ,სამიჯნურო ჰანგები
8. საბავშვო იგავ-არაკები.

ლირიკული პოემები.
9. იდუმალი ხმები,
10. ოცნების ხარეს,
11. ლანდები,
12. ორფეუს და ევრიდიკე,
13. იდუმალობის წინაშე,
14. ამირანი.

ეპიკურ-რომანტიული პოემა.
15. მედია და მშვენიერი ელენე,

დრამატიული პოემები.
16. ქალი გრძნეული,
17. მეფე მგოსანი,
18. ბერდო ზმანია,
19. ივერიკო,
20. შვების თავადი,
21. უგვირგვინო მეფენი,
22. ბედი მგოსნისა.

თარგმნები.
23. ფაუსტ გიოტესი,
24. დონ-კარლოს შილლერისა,
25. კეისარ იმპერატორი კონ—სა,
26. უცხო ლირიკა.

ხელის მომწერისთვის ყველა წიგნები ღირს 15 მანეთად.

ფულის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად. პირველად 5 მან.,—მიიღებთ ათს წიგნს; მეორედ 5 მან.,—მიიღებთ კიდევ ათს წიგნს და მესამედ 5 მან. დანარჩენ წიგნებისათვის.

ვინც ოცს ხელისმომწერს იშოვნის, ყველა წიგნები უფასოდ დაეთმობა. ბიბლიოთეკებს ყველა წიგნები თუჩნად დაეთმობათ.

მთავარი მისამართები თბილისში: წ.-კითხვის საზოგადოება, სასახლის ქუჩა—ვასილ ედილაშვილი; მოსკოვის ქუჩა № 4 „საქართველოს" რედაქცია; ნიკოლოზის ქუჩა № 7—სანდრო შანშიაშვილი და „სახ. ფურცლის" კანტორა. ხელის მომწერის ადრესი, სახელი და გვარი გარკვევით უნდა იქმნეს აღნიშნული
(601—4) გამომცემელი ნარდონი.

# მამულის შემძენ ქართველთა საყურადღებოთ:

ქ. თელავიდან ექვს ვერსზე, სოფ. ახატელში, ვყიდი 84 დესეტინა ტყეს, ვენახს და სახნავს, სულ 21,000 მანეთად. დაწვრილებით წერილით ანუ პირადათ: Телавъ, Нинѣ Григорiевнѣ Свимонишвили.
(3—559—1)

# განცხადება

ვსთხოვ უმორჩილესად ჩვენი ადგილების მყიდველთ

## საგურთალოზე „დიდი ნავენახარში",

რომ ამ ერთი თვის განმავლობაში დღეის რიცხვიდან გასწმინდონ ანგარიშები და დაიმტკიცონ კიდეც ადგილები.

ფული შემოიტანონ თბილისის სამეურნეო ბანკში, სადაც ჩემი კაცი მიიღებს და დამტკიცების ბარათს გადასცემს ნატარიუს ქართველოვს.

ფული მიიღება ყოველდღე 10—1 საათამდე, გარდა უქმეებისა. ვინც ამ ვადაში არ წარმოადგენს მთელ ფულს, რაცა ღირს მის მიერ დაბევებული სამოსახლო, ის მით პირობას არღვევს თანახმად ჩვენის პირველ განცხადებისა.

ვექილი თავის მამის ივანე ზაალის ძე სვანიშვილისა
აკაკი სვანიშვილი.
(10—598—5)

# საგურთალოზე
## ადგილების მყიდველთა საყურადღებოდ

შევუდექით „დიდ ნავენახარის" (საგაბაშვილო თხინვალის აგარაკში") სამოსახლოების დამტკიცებას.

ვსთხოვთ უმორჩილესად ადგილების მყიდველთ, მობრძანდნენ 27 ამა თებერვლიდგან, წარმოადგინონ მათზე დარჩენილი ფულები სრულად თბილისის სამეურნეო ბანკში და დაიმტკიცონ თვისი დაბევებული ადგილები.

ჩვენ მიერ მიცემული ბარათები ფულის მიღებისა აგრეთვე ბანკიდგან მიღებული უსათუოთ თან უნდა მოიტანონ—საბოლოვო ანგარიშის გასასწორებლად.

ადგილების დამტკიცება გასტანს—ამავე წლის მარტის 30 რიცხვამდინ.

ვინც ამ ხნის განმავლობაში არ დაიმტკიცებს ადგილებს და არ გაასწორებს ანგარიშს, შემდეგ უფლება დაეკარგება მამულის დამტკიცებაზედაც და საყვედურის თქმაზედაც.

პატივისცემით: იოსებ ნიკოლოზის ძე მერკვილაძე. სევასტი მიქელას ძე გაჩეჩილაძე. ივანე ზაალის ძე სვანიშვილი.
(10—539—6)

„საქართველოს" რედაქცია
სთხოვს ხელის მომწერლებს კეთილ ინებონ და ათ მარტამდე შემოიტანონ ხვედრი ფული

ექიმი კბილისა
## ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა
იღებს ავადმყოფებს: დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის და რეუტოვის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი
## მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი
## ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18. ტელეფონი № 11—82.

ექიმი
## ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის ხაზინის საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი ღოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914" და „606"
შეშხაპუნება

ექიმი
## ე. ღ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი
## გ. ჯ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
## მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, მელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
## ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი
## მ. ფ. მგალობლიშვილი
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

ექიმი
## მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

დოქტორი მედიცინის
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი
უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათ ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

## თევზის მრეწველნი
# ძმ. ძეგველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოხნე" ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

# სუსუნატით (ჰონორეა)
## ავადმყოფებს,

რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძენენ ცნობილ საშუალებას „ურიტალს", რომელიც სულ ცოტახანში არჩენს გაარჯლებულ და ქრონიკულ სუსუნატს საშარდე ბუშტისას, ჭაჭებისას და სხვ.

# რატომ

ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავადმყოფობას და იგი მთელს ტანში ვრცელდება?

# იმიტომ, რომ,

ჯერ ერთი, დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.

მეორედ, იმიტომ, რომ მართლაც ძნელია ნამდვილ, რადიკალურ საშუალების გამონახვა.

მაგრამ ყველა ავადმყოფმა, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინოს უებარი „ურიტალი". სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, აგრეთვე პროფესორებისამ, დაამტკიცა, რომ

# ურიტალი

ნამდვილად არჩენს სუსუნატს. თითო ფლაკონი ღირს 3 მან. 50 კაპ. მთლად მოსარჩენათ ახალი ავადმყოფისათვის საჭიროება ექვსი ფლაკონი და ძველებული ათი ფლაკონი სხვა. ქვეყნებში იგზავნება 5 მანეთის ბეის მიღების შემდეგ.

შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებაში: თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 16, განყ. 6—1, სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.

За заказами и справками обратиться въ Тифлисское Отдѣленiе Парижской-Фармацевтической Лабораторiи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская, № 16, отд. 6—1, напротивъ Государственнаго Банка.

სტამბა „განათლება" ა. კალანდაძისა, გამგევის შესახვევი № 4